შპს „თბილისის ნიჭიერთა კერძო

სკოლა - აკადემიის“

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი

შპს ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემიის

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემიაში (შემდგომში - სკოლა) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები განსაზღვრავს და არეგულირებს მოსწავლეების, პედაგოგებისა და ტექპერსიონალისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის წესებსა და პროცედურებს.
2. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი გამომდინარეობს საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 11 მარტის N 41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ზოგადსაგამანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსიონალის საქმიანობის სტანდარტის“ და საქართველოს ზოგადსაგამანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის/კაბინეტი/პუნქტი/ ფუნქციონირების წესის მოთხოვნებიდან.
3. სამედიცინო კაბინეტი ფუნქციონირებს წინამდებარე წესით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, აღიარებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დაცვით.

მუხლი 2. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი

1. სკოლაში ფუნქციონირებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო დახმარების ოთახი, რომელსაც ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორის მიერ დანიშნული ექიმი/ექთანი
2. ექიმი/ექთანი უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი ზომების გატარებას.
3. სკოლა უზრუნველყოფს სამედიცინო ოთახის აღჭურვას პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი მედიკამენტებით. მედიკამენტების ვარგისიანობის (ვადა, შენახვისათვის დადგენილი წესების დაცვა და ა.შ) შემოწმების კონტროლს ახორციელებს სკოლის ექიმი/ექთანი
4. სკოლის ყველა თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია სკოლის ექიმი/ექთანის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი.
5. სატელეფონო შეტყობინებას მოსწავლის შეუძლოდ ყოფნის თაობაზე ახორციელებს საკლასო ოთახში მყოფი მასწავლებელი ან მისი დავალებით რომელიმე თანამშრომელი;

6. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საჭიროებისას, რომელიც სცილდება ექიმის/ექთანის კომპეტენციის ფარგლებს, მის მიერ გამოძახებული იქნება სასწარაფო სამედიცინო დახმარება და გატარდება შესაბამისი ზომები.

მუხლი 3. ექიმის/ექთანის უფლება მოვალეობები

1. ექიმი/ექთანი უფლებამოსილია:

1.1 სკოლის ადმინისტრაციას მოსთხოვოს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი მედიკამენტების ან/და სამედიცინო ინვენტარის შეძენა (მაგ. წნევის საზომი აპარატი, თერმომეტრი და ა.შ).

1.2 განახორციელოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებები.

2. ექიმი/ექთანი ვალდებულია:

2.1 უზრუნველყოს სკოლის წინაშე სამედიცინო კუთხით არსებული ამოცანების და ფუნქციების შესრულება.

2.2 საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პირველადი სამედიცინო დახმარება გაუწიოს სკოლის მოსწავლეებს, პედაგოგებს და ტექპერსიონალს. ქმედუუნარო პაციენტის შემთხვევაში, მისი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია დროულად მიაწოდოს კანონიერ წარმომადგენელს.

2.3 განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს, აღრიცხოს და მეთვალყურეობა გაუწიოს ავადმყოფ მოსწავლეებს (დიაბეტი, ეპილეფსია, დაქვეითებული მხედველობა, უნარშეზღუდული და აშ.).

2.4 უზრუნველყოს სკოლის სამედიცინო, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა.

2.5 ფლობდეს ინფორმაციას სკოლაში შშმ პირთა რაოდენობის შესახებ.

2.6 უზრუნველყოს ინფექციური თუ ვირუსული დაავადების გავრცელების ან მათი გავრცელების თავიდან აცილების მიზნით უფასო სამედიცინო კონსულტაციების გაწევა სკოლის მოსწავლეების, პედაგოგებისა და ტექპერსიონალისათვის.

2.7 აწარმოოს აღრიცხვიანობის ჟურნალი მის მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურებისა და გამოყენებული მედიკამენტების შესახებ.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებანი

წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სკოლის დირექტორის ბრძანებით.